კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.police.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 3 ივნისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

www.police.ge

<u>გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები</u>




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
72,00%
48,67%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
45,83%
31,82%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
18,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
58,62%
26,79%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
38,46%
25,05%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
38,46%
18,30%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
20,00%
32,50%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
40,00%
18,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
28,57%
18,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

1. **ინფორმაცია მინისტრის შესახებ:**
   შინაგან საქმეთა მინისტრის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციის აღწერა; იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მინისტრს. მინისტრის სახელი და გვარი მოცემულია მხოლოდ ქვე-განყოფილებაში „სამინისტროს რეკვიზიტები“, ამასთან განცალკევებული განყოფილება სათაურად „მინისტრი“ არარსებობს. მინისტრის სამუშაო ელ.ფოსტა და ფაქსის ნომრებიც არ არის სახეზე;

2. **ინფორმაცია მინისტრის მოადგილეების შესახებ:**
   შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეთა ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციის აღწერა; იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მოადგილეებს. მოადგილეთა სახელები და გვარები მოცემულია მხოლოდ ქვე-განყოფილებაში „სამინისტროს რეკვიზიტები“, ამასთან განცალკევებული განყოფილება სათაურად „მოადგილეები“ არარსებობს. მოადგილეთა სამუშაო ელ.ფოსტები და ფაქსის ნომრებიც არ არის სახეზე:



3. **სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანიების შესახებ ინფორმაცია:**
   შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელთა ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციის აღწერა; იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს მათ თანამდებობიდან. სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელთა სამუშაო ელ.ფოსტები და ფაქსის ნომრებიც არ არის სახეზე;

აგრეთვე არ მოიძიება სამინისტროს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფისა და ტერიტორიული ორგანოს ელექტრონული ფოსტის მისამართი, სამინისტროს სისტემის სტრუქტურულ ხეზე არ არის მოყვანილი ინფორმაცია სპეციალური ღონისძიებების დეპარტამენტისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტოს“ შესახებ; ქვე-განყოფილებაში „სამინისტროს რეკვიზიტები“ სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების შესახებ ინფორმაცია ნაკლულია - არ არის მოცემული ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს შესახებ.

4. **სამინისტროს საკონტაქტო ინფორმაცია:**

   მომხმარებლისთვის სამინისტროს ელ.ფოსტის, ფაქსის ნომრისა და საფოსტო მისამართის ძიების საშუალება ძალზედ გართულებულია, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია მოიძიება ბმულში - "კონტაქტი", თუმცა თვით ბმული განთავსებულია მხოლოდ ვებ-გვერდის რუკაზე. ამასთან, სამინისტროს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი და სამინისტროს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკა ვებ-გვერდზე განთავსებული არ არის.

5. **ინფორმაცია სათათბირო ორგანოების შესახებ:**

   ვებ-გვერდზე არ არის მოცემული აგრეთვე ინფორმაცია შინაგან საქმეთა მინისტრის სათათბირო ორგანოს - კოლეგიის არსებობა/არარსებობის შესახებ.

6. **ინფორმაცია სამინისტროს სტრუქტურის შესახებ:**

   სათაურად „სტრუქტურა და ფუნქციები“ სრულად არ შეესაბამება მის შიგთავს, ვინადიან, მართალია, ქვე-განყოფილებაში მოყვანილია სამინისტროს სისტემის სტრუქტურულ ხე, თუმცა არ მოიძიება ინფორმაცია ფუნქციების შესახებ:



7. **ინფორმაცია სამინისტროს გამგებლობაში არსებული საჯარო მოხმარების საინფორმაციო სისტემების შესახებ:**

ინფორმაცია სამინისტროს გამგებლობაში არსებული საჯარო მოხმარების საინფორმაციო სისტემებისჩამონათვალი (მონაცემთა ბაზები, მონაცემთა ბანკები, რეესტრები, კადასტრები და ა.შ.) ძალზედ მწირად არის წარმოდგენილი ვებ-გვერდზე, რაც ძირითადად შემოიფარგლება ვიდეო პროექტებით, ახალი ამბების არქივით, საკანონმდებლო ბაზითა და ტენდერების მოძველებული არქივით.

8. **ინფორმაცია მინისტრის და მინისტრის მოადგილეების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების შესახებ:**

არ მოიძიება შინაგან საქმეთა მინისტრის და მის მოადგილეთა გამოსვლების, განცხადებებისა ანდა ბრიფინგების ტექსტები:

9. **ინფორმაცია სამინისტროს წლიური ანგარიშის, სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების და პროექტების შესახებ:**

არ მოიძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ამსახველი ერთიანი წლიური ანგარიში; აგრეთვე განცალკევებული განყოფილება სათაურად „პროგრამები", სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ სახელმწიფო, მიზნობრივი და ა.შ. პროგრამების ჩამონათვალი და შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

10. **ინფორმაცია „საკანონმდებლო ბაზის" შესახებ:**

ქვე-განყოფილება სათაურად „საკანონმდებლო ბაზა" დასახვეწია, არ მოიძიება სამინისტროს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და შინაგან საქმეთა მინისტრის სამართლებრივი

აქტები, არ მოიძიება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიც; არცერთი სამართლებრივი აქტი არ უნდა იყოს წარმოდგენილი ძველი მდგომარეობით.

11. ინფორმაცია „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან“ დაკავშირებით:

ინფორმაცია სამინისტროს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან თითქმის არ არის წარმოდგენილი: სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

12. ინფორმაცია სამინისტროს მიერ სანებართვო ქმედებების შესახებ:

დაკავშირებული სანებართვო და მარეგისტრირებელ ქმედებათა ამსახველი ინფორმაცია უნდა იყოს უფრო ვრცელი, რადგან ეს სამინისტროს ერთერთი უშუალო ფუნქციაა კანონდებლობის თანახმად, მიუხედავად იმისა რომ შესაბამისი სააგენტო ცალკე ბმულშია გატანილი და მოიძიება შესაბამისი კანონიც.

13. ინფორმაცია სამინისტროს მიერ განხორციელებული შესყიდვების დატენდერების შესახებ:

ვებ-გვერდზე არსებული ტენდერების არქივში მოყვანილი უკანასკნელი ინფორმაცია დათარიღებულია 2010 წლის 20 დეკემბრით, ხოლო ქვე-განყოფილება სათაურად „აუქციონები“ შემოიფარგლება გამოცხადებული აუქციონის შესახებ ერთადერთი ინფორმაციით.

14. ინფორმაცია სამინისტროს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ:

ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

15. ინფორმაცია სამინისტროს ვაკანსიების შესახებ:

ვებ-გვერდზე არ მოიძიება ვაკანსიების ერთიანი არქივი და ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა.

16. სამინისტროს ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

ვებ-გვერდზე თითქმის არ არის წარმოდგენილი სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამინისტროს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/სამინისტროს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სამინისტროს სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე):



ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაცია ძალზედ მიმოფანტულია ვებ-გვერდზე, ხოლო 2010 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გაწეული რეკომენდაციები სამინისტროს მეერ არ იქნა გათვალისწინებული.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88,89%
2. ძიება
60,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
68,75%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
66,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
57,89%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
28,57%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
41,67%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
46,15%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7
0,8
0,9

1. ნავიგაცია

ვებ-გვერდის ძირითადი პრობლემა არის არასწორად განლაგებული მენიუს პუნქტები, რომელიც განაწილებულია ვებ-გვერდის ზედა და მარცხენა მხარეს. მომხმარებლისთვის, რომელიც სულ რამოდენიმეჯერ ესტუმრა ვებ-გვერდს სრული ქაოსია, გაუგებარია რომელი პუნქტიდან რომელ პუნქტში გადავიდა, ინფორმაციის მოძიება რთულია მენიუს საშუალებით.

2. ძიება

ინფორმაციის მოსაძებნად ხშირად გამოიყენება მარტივი ძიების ფუნქცია, რის შედეგადაც გამოდის დიდი ინფორმაცია, რადგან ძიება მიმდინარეობს მთლიან ვებ-გვერდში, საჭიროა დეტალური ძიების არსებობა, რომელიც მოძებნის მითითებულ კატეგორიებში.

3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები

ზოგ ატვირთულ დოკუემნტებში (მაგ: http://police.ge/index.php?m=197) გამოყენებულია ისეთი ფონტი რომელიც სისტემას არ მოყვება (Geo ABC)



შესაბამისად ფონტის გადმოწერის და დაყენების გარეშე შეუძლებელია დოკუმენტის წაკითხვა. ყველა ატვირთულ დოკუმენტში ქართული ტექსტისთვის უნდა გამოიყენებოდეს Sylfaen-ი.

4. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

საიტის რუქაში არის პუნქტები (მაგ: სამსახურები, ლინკი: http://police.ge/index.php?m=191) რომელზეც გადასვლის შემდეგ ჩნდება ცარიელი გვერდი. საჭიროა ასეთი პუნქტების ლინკის მოშორება საიტის რუქაში.



5. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ასევე პრობლემაა, საკონტაქტო ფორმაზე. გაგზავნის მცდელობის დროს იწერება წარწერა: Send Fail, ანუ წერილი არ იგზავნება, მომხმარებლისთვის კი შეცდომის მიზეზი გაუგებარია.

mail sent faild

ვებ-გვერდში არის ისეთი გვერდები სადაც Title არის ერთი და იგივე, მაგ: http://police.ge/index.php?m=273, ხოლო გვერდების Description ცარიელია.



აუცილებელია Description-ის შევსება

```
<!DOCTYPE html PUBLIC "-//W3C//DTD HTML 3.2 Final//EN">
<html>
<head>
        <title>Police.ge - მთავარი</title>
        <link type="image/x-icon" rel="shortcut icon" href="/favicon.ico">
    <link type="image/gif" rel="icon" href="animated_favicon1.gif">
        <meta http-equiv="Content-Type" content="text/html; charset=utf-8">
        <meta name="keywords" CONTENT="">
        <meta name="description" CONTENT="">
        <link type="text/css" rel="stylesheet" href="./css/style_geo.css">
        <link type="text/css" rel="stylesheet" href="./css/style.css">
        <link type="text/css" rel="stylesheet" href="./css/style_pcms.css">
        <script type="text/javascript" language="JavaScript1.2" src="js/functions.js"></script>
        <script type="text/javascript" language="JavaScript1.2" src="js/menu/stmenu.js"></script>
        <script type="text/javascript" language="JavaScript1.2" src="pcms/js/httpRequest.js"></script>
        <script type="text/javascript" language="JavaScript1.2" src="js/F_toolTip.js"></script>
        <script type="text/javascript" language="JavaScript1.2" src="js/prototype.js"></script>
        <script type="text/javascript" language="JavaScript1.2" src="js/swfobject.js"></script>
        <script type="text/javascript" language="JavaScript1.2" src="js/geo.js"></script>
        <script type="text/javascript" language="JavaScript1.2" src="js/AC_RunActiveContent.js"></script>

        <script language="javascript">
        function transparent(element){
                if(/MSIE (5\.5|6).+Win/.test(navigator.userAgent)) {
```

6. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან

ვებ-გვერდი არ არის ადაპტირებული სოციალურ ქსელებთან. ვებ-გვერდზე სასურველია იყოს გაზიარების ფუნქცია, რომელიც სოციალურ ქსელში გააზიარებს არჩეულ გვერდს. ასევე სასურველია იყოს Facebook-ის გვერდზე გადასასვლელი ლინკი, სადაც იქნება Police.ge-ის Facebook-ის ვებ-გვერდი.

7. უსაფრთხოება

ვებ-გვერდზე აღმოჩენილი იქნა XSS „ბაგი“ რომელიც შესაძლებელია პროგრაიმსტმა ბოროტად გამოიყენოს. უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ჩვენ არ დავწერთ ამ ტექნიკური გაუმართაობის აღწერას. თუმცა, თუ შსს-ს შესაბიმისი წარმომადგენლები გამოთქვამენ სურვილს, მათ მივაწვდით მეტ ინფორმაციას აღნიშნული გაუთვალისწინებელი ხარვეზის შესახებ.